პროექტი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №**

**2023 წლის „ " დეკემბერი, ქალაქი ბათუმი**

## ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის" მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.31.02.062; 05.31.02.061; 05.31.02.040; 05.31.02.168) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $კ^{1/2}$ მაჩვენებლის 10%-ის ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

3. განემარტოს ამირან თებიძეს (პ/61006077661), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის (მეორე ეტაპი) ეტაპზე დაიცვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2023 წლის 22 ნოემბრის N 01-01-10/6559 წერილით დადგენილი მოთხოვნები.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**რამაზ ჯინჭარაძე**

**განმარტებითი ბარათი**

**პროექტის სახელწოდება და სათაური**

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

**ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:**

განკარგულების მიღების მიზანია ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

ამირან თებიძის (პ/N61006077661) მიერ წარმოდგენილია განცხადება, ქალაქ ბათუმში, გაგარინის ქუჩაზე (საკადასტრო კოდები: 05.31.02.062; 05.31.02.061; 05.31.02.040; 05.31.02.168; 05.31.02.131; 05.31.02.132; 05.31.02.046; 05.31.02.166; 05.31.02.023; 05.31.02.024; 05.31.02.003; 05.31.02.041; 05.31.02.019; 05.31.02.002; 05.31.02.105; 05.31.02.068; 05.31.02.109; 05.31.02.110; 05.31.02.122; 05.31.02.010; 05.31.02.101; 05.31.02.125; 05.31.02.080; 22.24.06.178; 05.31.02.118; 05.31.02.117) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე. საპროექტო ტერიტორია მოიცავს შემდეგ საკადასტრო ერთეულებს: (ს/კ: 05.31.02.062; 05.31.02.061; 05.31.02.040; 05.31.02.168) და დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადამეტება ხდება 9,0-მდე.

საპროექტო ობიექტის სართულიანობა შეადგენს 25 სართულს. კ2 კოეფიციენტის გადამეტების საკომპენსაციოდ განმცხადებელი იღებს ვალდებულებას გადამეტებული განაშენიანების ინტენსივობის ფართობის 10% გადასცეს ქალაქ ბათუმის მერიას.

წარმოდგენილი კონცეფცია გადაგზავნილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში მოსაზრებისათვის, სამინისტროს 2023 წლის 22 ნოემბრის N 01-01-10/6559 წერილით, სამინისტრომ მიზანშეწონილად ჩათვალა კონცეფციის დამტკიცება და დაადგინდა გარკვეული პირობები, რომლებიც მას უნდა გაეზიარებინა გეგმის ეტაპზე აღნიშნული პირობის თაობაზე მიეთითა განკარგულების პროექტში. ასევე, ამირან თებიძეს განემარტა მაკომპენსირებელი ღონისძიების შესახებ, რომელიც შეადგენს გადამეტებული განაშენიანების ინტენსივობის ფართობის 10 %-ს.

**ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:**

ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების მიზნით განკარგულების მიღება.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე – არ გამოიწვევს.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ(ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

**ე) პროექტის ავტორი:**

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.**

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**ზ)** განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**

**ქალაქგანვითარებისა და ურბანული**

**პოლიტიკის სამსახურის უფროსი გიორგი წანაწყენიშვილი**